ოქმი №1

ქ.წყალტუბო 7 ივლისი 12:00საათი

2025 წლის 7 ივლისს 12:00 საათზე წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალურმა საბჭომ ჩაატარა პირველი სხდომა.

სხდომას თავმჯდომარეობდა – სერგო კირკიტაძე - საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე, ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს თავმჯდომარე, რომელიც არჩეულია წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 25 მაისის № 16 დადგენილებით მე - 3 მუხლის მე - 3 პუნქტის შესაბამისად.

სხდომას ესწრებოდნენ: საბჭოს მდივანი – მზია კიკალიშვილი, საბჭოს წევრები: გელა თათარაშვილი, ლევან ჩანქსელიანი, შალვა კილაძე, არჩილ ღიბრაძე, მაკა ჭელიძე, ირინა ჩაკვეტაძე, მაია ბერაძე, ალექსანდრე დადუნაშვილი, ხათუნა მაღლაკელიძე, ნინო ჭეიშვილი, ირმა ხელაძე, ნატია ჩაკვეტაძე, ფატი გაგოშიძე, მარეხი კანკაძე, ლია გუგუსიანი, ნიკა მჟავია, ფაქიზო ფანჩულიძე

მოწვეული სტუმრები: ნონა ტაბიძე - წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს საორგანიზაციო, საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების, III რანგის II კატეგორიის უფროსი სპეციალისტი, ხათუნა კვაბზირიძე - წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს საინფორმაციო, ანალიტიკური და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების, III რანგის III კატეგორიის უფროსი სპეციალისტი, ფატი სოხაძე - შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი.

სხდომას ესწრებოდა სულ 19 წევრი, აქედან ქალი – 12, კაცი – 7 დასწრების ფურცელი თან ერთვის **(დანართი 1)**

სხდომის თავმჯდომარემ სერგო კირკიტაძემ საბჭოს წევრებს მიულოცა და მადლობა გამოთქვა პირველ სხდომაზე მობრძანებისათვის, ინფორმაცია მიაწოდა გენდერული თანასწორობის საბჭოს მოდერნიზებასთან დაკავშირებით

და ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს შექმნის შესახებ, სურვილი გამოთქვა რომ საბჭო იყოს მოქმედი და აქტიური, აღნიშნულმა საბჭომ საქართველოს მასშტაბით თქვას თავისი სახელი, დასამტკიცებლად წარუდგინა დღის წესრიგი:

1. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის „ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს" შემადგენლობის შესახებ. (დანართი 1)

/ ს. კირკიტაძე /

2. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის „ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს" დებულების შესახებ. (დანართი 2)

/ ს. კირკიტაძე /

3. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის „ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს" ბიუჯეტის გაცნობის შესახებ.

/ ფ. გაგოშიძე /

4. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის „ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს" სამუშაო გეგმის შესახებ.

/ ს. კირკიტაძე /

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 19
წინააღმდეგი - 0
დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

მოსმენილ: სხდომის თავმჯდომარემ სერგო კირკიტაძემ საბჭოს წევრებს და მოწვეულ სტუმრებს გააცნო დღის წესრიგით გათვალისწინებული პირველი საკითხი: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის „ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს" შემადგენლობის შესახებ - საბჭოს სულ ჰყავს 21 წევრი :

1. სერგო კირკიტაძე - საბჭოს თავმჯდომარე, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე;
2. ლელა ბერძენიშვილი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, საკრებულოს საორგანიზაციო, საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების

მართვის განყოფილების მესამე რანგის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი;

3. მზია კიკალიშვილი - საბჭოს მდივანი, საკრებულოს თავმჯდომარის თანაშემწე;
4. გელა თათარაშვილი - საბჭოს წევრი, საკრებულოს აპარატის უფროსი;
5. ლევანი ჩანქსელიანი - საბჭოს წევრი, საკრებულოს კულტურის, განათლების, ტურიზმისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე;
6. შალვა კილაძე - საბჭოს წევრი, საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე;
7. არჩილი ღიბრაძე - საბჭოს წევრი, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე;
8. მაკა ჭელიძე - საბჭოს წევრი, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე;
9. ირინა ჩაკვეტაძე - საბჭოს წევრი, საინფორმაციო–ანალიტიკური და საზოგადოებასთან ურთიერთობის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი;
10. მაია ბერაძე - საბჭოს წევრი, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებების დაცვის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი;
11. ალექსანდრე დადუნაშვილი - საბჭოს წევრი, საკრებულოს საორგანიზაციო, საქმისწარმოების და ადამიანური რესურსების მართვის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი;
12. ხათუნა მაღლაკელიძე - საბჭოს წევრი, საკრებულოს წევრი;
13. ნინო ჭეიშვილი - საბჭოს წევრი, საკრებულოს წევრი;
14. ირმა ხელაძე - საბჭოს წევრი, მერის თანაშემწე;
15. ნათია ჩაკვეტაძე - საბჭოს წევრი, მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი;
16. ფატი გაგოშიძე - საბჭოს წევრი - მერიის საფინანსო–საბიუჯეტო სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი;
17. მარეხი კანკაძე - საბჭოს წევრი - მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის ხელმძღვანელი;
18. რიმა მარგიანი - საბჭოს წევრი, მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი;

19. ლია გუგუსიანი - საბჭოს წევრი, მერიის კულტურის, განათლების,სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა პირველადი სტრუქტურული ერთეულის მესამე რანგის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი;
20. ნიკა მჟავია - საბჭოს წევრი, მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიულ საკითხთა მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი;
21. ფაქიზო ფანჩულიძე - საბჭოს წევრი, ქალაქ წყალტუბოს ოტია იოსელიანის სახელობის N1 საჯარო სკოლის დირექტორი, საზოგადოებრივი კავშირის "ანდამატის" თავმჯდომარე;

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 19

წინააღმდეგი - 0

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: სხდომის თავმჯდომარემ სერგო კირკიტაძემ საბჭოს წევრებს და მოწვეულ სტუმრებს გააცნო დღის წესრიგით გათვალისწინებული მეორე საკითხი: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის „ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს“ დებულების შესახებ. (დანართი 3) საბჭოს დებულება შედგება - **მუხლი 1. ზოგადი დებულებანი მუხლი 2. საბჭოს ძირითადი ამოცანები, ფუნქციები და უფლებამოსილებანი მუხლი 3. საბჭოს სტრუქტურა მუხლი 4. საბჭოს მუშაობის წესიმუხლი 5. საბჭოს საქმიანობის ორგანიზაციულ-ტექნიკური უზრუნველყოფა მუხლი 6. საბჭოს დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა.** შეგვიძლია შევცვალოთ და დავამატოთ ახალი საკითხები.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: მესამე საკითხი - წყალტუბოს მუნიციპალიტეტის „ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს“ ბიუჯეტის გაცნობის შესახებ - წარმოადგინა ფატი გაგოშიძემ - საბჭოს წევრი - მერიის საფინანსო–საბიუჯეტო სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი. გასულ წელს ვერ მოხერხდა ბიუჯეტის სრულად განხორციელება, ამასთანავე შევიტანეთ ცვლილება საბჭოს დასახელებაში და არსებული 7500 ლარი გადმოტანილი იქნება „ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს“ ბიუჯეტის განხორციელებაში. ეს თანხები არ უნდა იქნეს მიმართული სოციალურ პროგრამებზე, შეიძლება ჩატარდეს ცნობიერების ამაღლება, ტრენინგ-სემინარები, თემატური კვლევები და სხვა. ბავშვებისათვის ხელმისაწვდომი იქნება - ჯანდაცვა, განათლება და სპორტი. შესაძლებელია თანხის გაზრდა, ტრენინგებში ჩავრთოთ მაღალმთიანი სოფლის

მოსახლეობა, მაგ: შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვები გავიყვანოთ და ავამაღლოთ მათი ცნობიერება.

აზრი გამოთქვეს: ირმა ხელაძე - საბჭოს წევრი, მერის თანაშემწე - საბჭოს შეუძლია მოვიწვიოთ შორენა კახიძე - ბიუჯეტისა და სამუშაო გეგმის განხორციელებასთან დაკავშირებით ჩაგვიტაროს ტრენინგები. შალვა კილაძე - საბჭოს წევრი, საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე - დაინტერესდე ქონდა თუ არა მშობლებთან ერთად ბავშვებს წვდომა სპორტულ მოედნებთან და დარბაზებთან, მაგ: წყალტუბოში არა არის სამშობიარო სახლი და შესაძლებელია გინეკოლოგის მოწვევა. ხათუნა მაღლაკელიძე - საბჭოს წევრი, საკრებულოს წევრი - უნდა შეიქმნას სამუშაო ჯგუფი და განხორციელდეს სხვადასხვა სახის ღონისძიებები. ფაქიზო ფანჩულიძე - საბჭოს წევრი, ქალაქ წყალტუბოს ოტია იოსელიანის სახელობის N1 საჯარო სკოლის დირექტორი, საზოგადოებრივი კავშირის "ანდამატის" თავმჯდომარე - საინტერესო იქნება თავისი უფლებების ამაღლების მიზნით ბავშვებს გავაცნოთ თუ რისი უფლებები აქვთ საზოგადოებაში, სკოლებთან თანამშრომლობა, სპორტის განვითარების მხრივ სპორტის სასახლეში სპორტული ღონისძიებების ჩატარება, ნახატების გამოფენა და სხვა. ლია გუგუსიანი - საბჭოს წევრი, მერიის კულტურის, განათლების,სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა პირველადი სტრუქტურული ერთეულის მესამე რანგის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი - მუნიციპალიტეტი ჩართულია ახალგაზრდულ ღონისძიებებში ეს იქნება: კულტურული თუ სპორტული. მარეხი - საბჭოს წევრი - მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის ხელმძღვანელი - არ გამოგვივიდეს ისე რომ მარტო ბავშვებთან დაკავშირებით, უნდა გავითვალისწინოთ მეწარმე ქალები, რომლებიც აქტიურად ჩაერთვებიან საბჭოს მუშაობაში.

სერგო კირკიტაძემ მადლობა გადაუხადა საბჭოს წევრებს და სამომავლოდ აქტიურად გეგმავს მათთან თანამშრომლობას.

დაადგინეს: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს მიერ სამუშაო გეგმის შემუშავება და განხორციელება,მუნიციპალური საბჭოს მოწვევა სამ თვეში ერთხელ და სხვა მუნიციპალიტეტებთან თანამშრომლობა.

ოქმის დანართები:

1. დასწრების ფურცელი (დანართი 1)
2. დღის წესრიგი (დანართი 2)

3. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის „ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს“ შემადგენლობის შესახებ.(დანართი 3) /ს. კირკიტაძე /

4. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის „ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს“ დებულების შესახებ. (დანართი 4)

/ ს. კირკიტაძე /

5. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის „ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს“ ბიუჯეტის გაცნობის შესახებ.

/ ფ. გაგოშიძე /

6. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის „ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს“ სამუშაო გეგმის შესახებ.

/ ს. კირკიტაძე /

სხდომის თავმჯდომარე: */ ს. კირკიტაძე /*

სხდომის მდივანი: */ მ. კიკალიშვილი /*